

„გამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია

15 „“, 2018 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრი უმცროსი ასაკის
ჭაბუკებში (2002-2004)
(დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო)

2018 წელი
27-28 იანვარი
თბილისი - ზესტაფონი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოსტთა შერჩევა უმცროსი ასაკის ჭაბუკთა ჩემპიონატისათვის;

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2002-2004 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოსტები.

IV. შეჯიბრის კენჭისყრა, ადგილი, დრო და რეგისტრაცია

- შეჯიბრი ჩატარდება ერთდროულად 27-28 იანვარს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.
- აღმოსავლეთ საქართველო – თბილისი, ძიუდოს აკადემია.
- დასავლეთ საქართველო – ზესტაფონი, სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტსკოლა.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს – თითოეული სპორტსმენი აწონვისას თავად იღებს ნომერს, რომლის მიხედვით ხვდება კენჭისყრის ბადეში.
- ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 26 იანვარი, წასვლის დღე – 29 იანვარი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10.00 საათზე.

რეგისტრაცია:

- ძიუდოსტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებ გვერდიდან (<http://gif.ge/geo/calendar/georgia>), სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2018 წლის 24 იანვრამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 25 იანვარს ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებული არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოსტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.
- სპორტსმენის მონაწილეობა დასავლეთ, ან აღმოსავლეთ საქართველოში განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ სად ატარებს საწვრთნელ პროცესს მისი პირადი მწვრთნელი.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 3 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ვაჟთა შორის ტარდება 8 წონით კატეგორიაში:
46კგ; 50კგ; 55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; +81კგ;
27 იანვარი – 46კგ; 50კგ; 55კგ; 60კგ;
28 იანვარი – 66კგ; 73კგ; 81კგ; +81კგ;
- აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლინდება 24 ძიუდოსტი, ხოლო დასავლეთ საქართველოში 8.

VI. აწონვა

აწონვა: თბილისში

26 იანვარი თბილისში, ძიუდოს აკადემიაში

46კგ; 50კგ; 55კგ; 60კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

26 იანვარი ზესტაფონი, სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტსკოლაში

46კგ; 50კგ; 55კგ; 60კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

27 იანვარი თბილისში, ძიუდოს აკადემიაში

66კგ; 73კგ; 81კგ; +81კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

27 იანვარი ზესტაფონი, სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტსკოლაში

66კგ; 73კგ; 81კგ; +81კგ

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 52 82 05;

მობ. 595 21 25 23 – გიორგი ათაბეგაშვილი

საკონტაქტო პირი აღმოსავლეთ საქართველო – 577 99 44 07 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი დასავლეთ საქართველო – 599 92 56 62 ზაზა მახათაძე

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- პირად მწვრთნელებს მიეცეთ მითითება არ დაუშვან იმ სპორტსმენთა მონაწილეობა, რომელთა წონა საშეჯიბრო წონასთან მიმართებაში არის ორი კილოგრამით მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მიუხედავად სპორტსმენის მიერ დაკავებული საპრიზო ადგილისა მას აეკრძალოს ასპარეზობა სხვადასხვა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებზე.

გენერალური მდივანი



გიორგი ათაბეგაშვილი